

**MODERN UNDERSTANDING OF THE PAST
(BASED ON IAKOB KHUTSESI'S "THE MARTYRDOM OF SHUSHANIK" AND
VLADIMIR ALPHENIDZE'S "THE MORNING STAR")**

წარსულის თანამედროვე გააზრება
(იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებისა“ და ვლადიმერ ალფენიძის „ცისკრის
ვარსკვლავის“ მიხედვით)

Marine Khvedelidze

Akaki Tsereteli State University, Doctoral Student
+995 577 31 55 72, khvedelidze.marine@atsu.edu.ge
marinexvedelidze1981@gmail.com
<https://orcid.org/0009-0000-9963-8829>

Abstract. This article analyzes Vladimir Alpenidze's contemporary novel-tale "The Morning Star," which offers a new artistic interpretation of the fifth-century hagiographic text "The Martyrdom of Shushanik" by Iakob Khutsesi (Tsurtaveli). Alpenidze contextualizes the contributions of Tsurtaveli and King Pharnaoz, connecting the creation of the Georgian alphabet with the emergence of Georgia's first literary monument, thereby positioning writing as a fundamental pillar of national identity.

The study examines how creativity functions as a dynamic process that continuously reinterprets the past, demonstrating the ongoing influence of hagiographic traditions on modern Georgian literature. By analyzing the ideological frameworks and artistic imagery employed by Alpenidze, the article reveals how this twentieth-century author transposed an ancient text into a new historical-cultural context, successfully synthesizing national and religious elements.

Alpenidze's work skillfully integrates creative imagination with historical reality, weaving together hagiographic sources with folk legends to create a richly intertextual narrative. The novel harmonizes Christian and mythical origins while reimagining Iakob Khutsesi not merely as a writer but as a multidimensional historical figure embodying strong national consciousness. "The Morning Star" thus represents a cultural dialogue across epochs, wherein historical narrative acquires renewed significance through contemporary interpretation, exemplifying literature's perpetually regenerative nature.

Keywords: Hagiography, Novel-tale, Intertextuality, Reception, National identity.

მარინე ხვედელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი
+995 577 31 55 72, khvedelidze.marine@atsu.edu.ge
marinexvedelidze1981@gmail.com
<https://orcid.org/0009-0000-9963-8829>

აბსტრაქტი. სტატიაში განვიხილავთ უახლეს ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ვლადიმერ ალფენიძის რომან-თქმულებას „ცისკრის ვარსკვლავს“, რომელიც ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ინტერპრეტაცია და ახლებური მხატვრული გააზრებაა. ვლადიმერ ალფენიძე აღწერს იაკობ ცურტაველისა და

ფარნაოზ მეფის მოღვაწეობას, ღვაწლსა და დამსახურებას. ქართული ანბანისა და პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლის შექმნას ერთ ჭრილში განიხილავს და განსაზღვრავს დამწერლობის როლს როგორც ეროვნული იდენტობის უმთავრეს საყრდენს.

შემოქმედება დინამიკური პროცესია და იგი წარსულის მუდმივად განახლების შესაძლებლობას იძლევა. სტატია ხაზს უსვამს ჰაგიოგრაფიის გავლენას თანამედროვე ლიტერატურაზე, შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას, თუ როგორ კითხულობს ყოველი თაობა კლასიკურ ტექსტს. გამოკვეთს იდეურ ასპექტებს, მხატვრულ სახეებს, რომელთა მეშვეობითაც მეოცე საუკუნის ავტორი უძველეს ტექსტს ახალ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში გადაიტანს, ეროვნულსა და რელიგიურს ერთ მთლიანობად აქცევს.

ვლადიმერ ალფენიძე წარმოაჩენს ქართული დამწერლობისა და ლიტერატურის მნიშვნელობას. შემოქმედებით ფანტაზიას, ისტორიულ რეალობას, ჰაგიოგრაფიულ ძეგლსა და თქმულება-ლეგენდას საინტერესოდ აზავებს, რაც განაპირობებს მხატვრული ძეგლის ინტერტექსტუალურ ბუნებას. მწერალი ქრისტიანულ და მითოსურ საწყისებს ჰარმონიულად აერთიანებს. იაკობ ხუცესს არა მხოლოდ სიტყვის ოსტატად აღგვიწერს, არამედ საინტერესო ისტორიულ პირად გვაცნობს და წარმოგვიდგენს მრავალმხრივ მხატვრულ სახედ, რომელიც დატვირთულია მძაფრი ეროვნული შეგნებით. „ცისკრის ვარსკვლავი“ კულტურული დიალოგია ეპოქებს შორის. წარსული ნარატივი თანამედროვე გააზრებით ახალ სიცოცხლეს იძენს, რაც ხაზს უსვამს ლიტერატურის მუდმივად განახლებად ბუნებას.

საკვანძო სიტყვები: ჰაგიოგრაფია, რომან-თქმულება, ინტერტექსტუალობა, რეცეფცია, ეროვნული იდენტობა.

შესავალი. ქართული ჰაგიოგრაფია, წმინდანთა ცხოვრების ამსახველი ტექსტები სულიერი ფასეულობების განმსაზღვრელია, იგი მნიშვნელოვანია ქრისტიანული, მორალური და ეროვნული გზავნილით. ჰაგიოგრაფია საუკუნეების შემდეგაც ინარჩუნებს გავლენას ქართულ მწერლობაზე. თანამედროვე ავტორები ხშირად უბრუნდებიან შორეულ ლიტერატურულ ძეგლებს და მასზე დაყრდნობით, ინტერპრეტაციით ქმნიან ახალს, რომელშიც თანადროული პრობლემები აისახება. სტატიაში განვიხილავთ ვლადიმერ ალფენიძის რომან-თქმულებას „ცისკრის ვარსკვლავს“, რომელიც იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებას“ ეფუძნება, თუმცა მწერალი თხრობის ქრონოლოგიას ზედმიწევნით არ იმეორებს. პირიქით, ავტორი ქმნის სრულიად ახალ სიუჟეტს, რომელიც ინარჩუნებს ჰაგიოგრაფიული ნარატივის ღერძს და იმავდროულად დატვირთულია ფოლკლორული მასალით, ისტორიული წიაღსვლებითა და სიმბოლურ-ალეგორიული ფორმებით.

სტატიის მიზანია ვაჩვენოთ, როგორ იკითხება ჰაგიოგრაფიული ტექსტი უახლეს ქართულ ლიტერატურაში და იგი როგორ ეხმიანება დღევანდელ სულისკვეთებას. **ჰიპოთეზად** განვიხილავთ მოსაზრებას, რომ ვლადიმერ ალფენიძის „ცისკრის ვარსკვლავი“ ეფუძნება შორეულ კულტურულ მემკვიდრეობას და იმავდროულად ქმნის ახალს.

მეთოდები. განსახილველი ნაწარმოები შევისწავლეთ რეცეფციული, შედარებითი და ინტერტექსტუალური მეთოდების გამოყენებით, რამაც საშუალება მოგვცა საკითხის სიღრმისეული კვლევისათვის. ასევე გამოვიყენეთ კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობის მიდგომა: ისტორიული კონტექსტი, შემოქმედებითი ასპექტები, ჟანრობრივი თავისებურებები, იდეურ-მინაარსობრივი და კულტურული კონტექსტი.

შედეგები. კვლევამ აჩვენა, რომ ვლადიმერ ალფენიძის „ცისკრის ვარსკვლავი“ წარმოადგენს იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ თანამედროვე ინტერპრეტაციას, სადაც წმინდა შუშანიკის სახე ახალ კულტურულ კონტექსტშია გადმოტანილი. გამოკვეთილია როგორც პირველი ქართული წიგნის შექმნის სიმბოლური მნიშვნელობა, ასევე დამწერლობის როლი ეროვნული თვითშეგნების ფორმირებაში, ხოლო ტექსტის ავტორი წარმოჩენილია ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შემაკავშირებელ ძალად.

მსჯელობა. რომან-თქმულება „ცისკრის ვარსკვლავი“ მოგვითხრობს ორი დიდი ქართველის - იაკობ ცურტაველისა და ფარნაოზ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მწერალმა ჩვენი ქვეყნის ორი უდიდესი მოღვაწე, ფარნაოზი- ქართული ანბანის ფუძემდებელი და ცურტაველი - ქართული მწერლობის სათავე, ერთ ჭრილში განიხილა. გააერთიანა ისტორიული რეალობა და იგი თქმულება-ლეგენდის კონტექსტში წარმოაჩინა.

„ცისკრის ვარსკვლავში“ ვხვდებით რეალურ ისტორიულ პიროვნებებს: ფარნაოზს, ვახტანგ გორგასალს, შუშანიკ დედოფალს, ვარსკენ პიტიახშს, იაკობ ცურტაველსა და სხვა ისტორიულ პირებს. მწერლის სამიზნეა ქართული ანბანისა და ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული წიგნის დიდება. რომანი ეძღვნება იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ 1500 წლის იუბილეს. ავტორი შთაგონებულია მშობლიური ენის სიყვარულითა და პატივისცემით. როდესაც შემოქმედი ნამდვილ, სარწმუნო ისტორიულ ამბებს თქმულება-ლეგენდის საბურველში ახვევს, ეს რამდენიმე მნიშვნელოვან იდეას ემსახურება: უპირველესად ნაწარმოებს მხატვრულ ელფერს სძენს, ქმნის ემოციურს და თხრობას ამდიდრებს ხალხური ელემენტებით, რაც იდეური თვალსაზრისით ხელს უწყობს მოვლენების სახალხო აღქმას, ხაზს უსვამს ამბის ეროვნულ მნიშვნელობას. თქმულების ელემენტებით ისტორიული რომანის დატვირთვა გამართლებულია მით უფრო მაშინ, როდესაც ისტორიული წყაროები მწირია, მწერალი შორეული საუკუნეების ამბებს მოგვითხრობს და საკითხი რეალურადაც ბურუსითაა მოცული. თქმულება-ლეგენდის ფორმა ასევე ეხმარება მწერალს აიცილოს პასუხისმგებლობა ფაქტების უტყუარობაზე და ფანტაზიით თამამად გაამდიდროს ისტორიული სურათი.

რომანი თავისი ბუნებითა და სტრუქტურით მწერალს საშუალებას აძლევს, მრავალშრიანი სიუჟეტური ხაზი წარმოაჩინოს, ვრცელი თხრობითი ფორმითა და პერსონაჟთა საინტერესო ფსიქოლოგიური პორტრეტებით. ვლადიმერ ალფენიძე „ცისკრის ვარსკვლავში“ ისტორიულ ფაქტებსა და მხატვრულ გამონაგონს პარალელურად მოგვითხრობს და ახავებს თქმულებისთვის დამახასიათებელი პოეტური ფორმებით.

პირველი ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების საფუძველზე მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი რომანის სათაური „ცისკრის ვარსკვლავი“ მრავალმხრივი სიმბოლური დატვირთვით შეიძლება გავიაზროთ. ცისკრის ვარსკვლავი იგივე მთიები (ვენერა) ღამის, ბნელის დასრულებას ნიშნავს და მოასწავებს განთიადს, ახლის დასაწყისს. ის შეიძლება მივიჩნიოთ ნათლისა და იმედის სიმბოლოდ, სულიერ აღორძინებად. ხოლო ცისკრის ვარსკვლავი (იგივე აფროდიტი, მთიები) ესაიას წიგნში (14,12) ითქმის განმანათლებლად. ის არის მთავარი ეშმაკთა და წმიდათათვის სახელი და მისი ადგილი არის ზეციურ სასუფეველში. წარმოდგენილ რომანში სათაური მიემართება არა წმინდა შუშანიკს, არამედ წმინდა შუშანიკის წამების აღმწერს, პირველი ქართული წიგნის შემქმნელს - იაკობ ხუცესს. ამიტომ იგი შეიძლება გავიაზროთ იმედის, ახალი დღისა და ნათელი მომავლის საწყისად. „ეს მე ვარ, ღმერთო, იაკობ ცურტაველი, მარად ქართველი, ჩოქის მომხრელი, ფეხდამაშრული წარვსდექ შენს წინაშე ძელი ცხოველთან და ვლოცულობ.“

გავედრებ ჩემს ერს, ჩემს ენას, ჩემს მამულს, ჩემს ანბანს ფარნაოზისას, ჩემს პირველ სტრიქონს, მამათა მიერ პერგამენტზე დაწერილს, შემდეგ ვარსკვლავებით გადაწერილს ცაზე...“ (ალფენიძე, 1978: 3).

აღნიშნული ციტირება მრავალმნიშვნელოვანი დასაწყისია რომანისა და სიმბოლურად არაერთ საკითხს გამოკვეთს. მხოლოდითი რიცხვის პირველი პირი „მე“ მხატვრული სახე და საშუალებაა, რათა მკითხველმა მთხრობლის იდენტიფიცირება შეძლოს. „მარად ქართველი“ ეროვნული იდენტობის ხაზგასმაა, რომლის უწყვეტობას ქართულმა დამწერლობამ და პირველმა ქართულმა წიგნმა შეუწყო ხელი. მიმართვის ფორმა - ღმერთო, ლოცვით მდგომარეობას განასახიერებს, რაც ეხმიანება ჰაგიოგრაფიის კონტექსტს.

კულტურული საგანძურის ჩამონათვალია: „ჩემს ერს, ჩემს ენას, ჩემს მამულს, ჩემს ანბანს“. ჩამონათვალი წარმოაჩენს ქართული კულტურული იდენტობის საფუძველს. კუთვნილებითი ნაცვალსახელის განმეორება შთამბეჭდავს ხდის ნათქვამს და გამოკვეთს მათ მნიშვნელობას.

საგანგებოდ ჩავუღრმავდეთ სიტყვას - „მამათა“. ჰაგიოგრაფიულ ნარატივზე შექმნილი ძეგლის შესავალში ამოკითხულმა ამ ერთმა სიტყვამ წმინდა მამათა შეგონებების მოლოდინი დაბადა, თუმცა ამაოდ. „მამათა მიერ პერგამენტზე დაწერილი“ კულტურული მემკვიდრეობის უწყვეტობას ასახავს. იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ გარკვეული მემკვიდრეობის საფუძველზე შეიქმნა, ხოლო შემდეგ თვითონ გახდა საფუძველი ერის სულიერი და კულტურული ზრდისა. იგი საუკუნეებს გადასწვდა და უახლეს ლიტერატურას ასაზრდოებს. ვლადიმერ ალფენიძე დამწერლობას, ლიტერატურულ პროცესს კულტურული მეხსიერების ცოცხალ ჯაჭვად წარმოადგენს, რომელიც აკავშირებს წარსულს აწმყოსთან და ქმნის ერის სულიერ საგანძურს.

პროლოგი ამზადებს მკითხველს ღრმა კულტურულ-ისტორიული მოგზაურობისთვის. ავტორი პროლოგს ასე ასათაურებს: ლოცვა ცურტაველისა. მას წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი - „პირველთაგან იყო სიტყვა“ (იოანე). ბიბლიური ფრაზით მეოცე საუკუნის მწერალი ხაზს უსვამს სიტყვის შემოქმედებით ძალას, რომელიც ღმერთთან ერთად არსებობდა დასაწყისშივე და იგი თავად იყო ღმერთი. სამყაროს შემოქმედებითი ძალა სიტყვაშია განფენილი. სიტყვა თავად არის ღვთაებრივი საწყისი, სიბრძნისა და სამყაროს შემოქმედებითი ძალა. „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა“ (იოანე, 1,1: 862). „შუშანიკის წამებისა“ და „ცისკრის ვარსკვლავის“ კონტექსტში ბიბლიური სიბრძნე მით უფრო ნიშანდობლივია, რადგან პირველი დაწერილი სიტყვა გადამწყვეტია ერის კულტურული იდენტობისთვის, იგი განსაზღვრავს ერის მომავალს.

საინტერესოა, რა საერთო აქვს და რა განმასხვავებს ვლადიმერ ალფენიძის „ცისკრის ვარსკვლავს“ და იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებას“. იაკობ ხუცესი აღწერს ქვემო ქართლის პიტიახშის კარზე შექმნილ ვითარებას, წმინდა შუშანიკის პრინციპულობას, შეუპოვრობასა და სიმაძავეს, სულიერ სიმტკიცესა და თავდადებას. დედოფლის მოწამეობრივ აღსასრულთან ერთად შიგადაშიგ მკითხველი ეცნობა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ ვითარებას. შეიძლება ითქვას, ცენტრალური პერსონაჟის ირგვლივ მოქმედება სწორხაზოვნად ვითარდება. ჰაგიოგრაფიის მკაცრი ჩარჩოები განსაზღვრავს თხრობის სტილსა და ქრონოლოგიას. იაკობ ხუცესი მკვლევრებისათვის საინტერესოა როგორც მწერალი და როგორც პერსონაჟი.

რელიგიური მოტივი ორივე ნაწარმოებში არსებითია. ეროვნული იდენტობისა და ეროვნული თვითშეგნების საკითხი ორივეგან ძირითადი თემაა, თუმცა მწერლები მას სხვადასხვა პერსპექტივიდან წარმოაჩენენ. ვარსკენისა და შუშანიკის კონფლიქტის საფუძველი ეროვნულ ნიადაგზე ამოიზარდა. წამებაში რელიგიური და ეროვნული ერთარსი და განუყოფელია. დედოფლისათვის ქრისტიანობის უარყოფა, ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღება არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ ეროვნულ ღალატს ნიშნავდა. V საუკუნეში ქართული სახელმწიფოებრიობა და ეროვნული იდენტობა სწორედ ქრისტიანობას უკავშირდებოდა.

ვლადიმერ ალფენიძესთან ვკითხულობთ:

„ცურტაველმა ქართულად უპასუხა.

არ მოეწონა ეს ვარსკენს.

- შენ, რა, სპარსული არ იცი, ცურტაველო?- იკითხა პიტიახშმა.

- სპარსულად ლაპარაკი სპარსეთშია უპრიანი, პიტიახშო. მე ჰინდოეთში - ჰინდურად და სანსკრიტულად ვსაუბრობდი, ბიზანტიაში - ბერძნულად, რომში - ლათინურად. საქართველოში მაინც მალაპარაკეთ ქართულად,- თქვა იაკობმა“ (ალფენიძე, 1978: 10).

აღნიშნულ ეპიზოდში მწერალი მნიშვნელოვან ასპექტს გამოხატავს: ენა ეროვნული იდენტობის უმთავრესი ნიშანია. ცურტაველი პრინციპულად ირჩევს ქართულად უპასუხოს. მიუხედავად იმისა, რომ მან სპარსული იცის. ქართული სიტყვა ეროვნული თვითმყოფადობის დაცვაა სპარსული ზეგავლენისაგან. იაკობის პასუხში კარგად ჩანს, რომ იგი განათლებული პიროვნებაა, იცის სხვადასხვა ენა და პატივს სცემს სხვა კულტურებს, მაგრამ ამავედროულად პრინციპულად იცავს ქართულ ენას - საკუთარ ეროვნულ იდენტობას.

განმასხვავებელი ნიშნებიდან არსებითია ჟანრობრივი თავისებურებანი: „შუშანიკის წამება“ ჰაგიოგრაფიული ჟანრის პირველი ნიმუშია ქართულ ლიტერატურაში, ხოლო „ცისკრის ვარსკვლავი“ მეოცე საუკუნის რომანი. ეს განაპირობებს განსხვავებას სტრუქტურისა და მხატვრული თვალსაზრისით. „შუშანიკის წამებაში“ რიგი ეპიზოდები დაწერილია პირველ პირში, სადაც მთხრობელი (იაკობ ხუცესი) მოვლენების თვითმხილველი და შემსწრეა, ხოლო „ცისკრის ვარსკვლავში“ გამოყენებულია განსხვავებული ნარატიული სტრატეგიები. „შუშანიკის წამება“ შექმნილია ძველი ქართული ენით და ასახავს იმდროინდელ ენობრივ თავისებურებებს, „ცისკრის ვარსკვლავი“ თანამედროვე, მოქნილი და მარტივი ქართულითაა დაწერილი. აღნიშნული შეეხება რომანის იმ მონაკვეთებს, რომლებიც გამონაგონია და ალფენიძის მწერლური ოსტატობითაა შექმნილი. უნდა ითქვას, რომ „ცისკრის ვარსკვლავში“ ვრცელი ჩანარები, წამების ძირითადი თხრობის ამსახველი სიუჟეტები ეპიზოდებადაა წარმოდგენილი. მწერალი ციტირებებით ფაქტობრივად იმეორებს წამებაში ასახულ ამბავს. ცალსახაა, რომ თანამედროვე მწერალი პარალელურ თხრობასთან ერთად, ქართული მწერლობის პირველი ლიტერატურული ძეგლის დუბლირებას გვთავაზობს და აღნიშნულს მკითხველისათვის მარტივად აღსაქმელად ციტირებებით წარმოაჩენს. სანიმუშოდ ცალკეული ეპიზოდის მოხმობა არსს მოკლებულია, რადგან რომან-თქმულებაში ფაქტობრივად მთელი წამების ამსახველი თხრობაა გაბნეული. ცხადია, „შუშანიკის წამება“ გავლენას ახდენს თანამედროვე მწერალზე. წამება რომანისათვის ინტერტექსტია, ხოლო „შუშანიკის წამებაში“, თავის მხრივ, წმინდა წიგნთა კვალი შეიმჩნევა. აღნიშნულს ცხადყოფს ბიბლიური იგავები, ალუზიები და დედოფლის მიერ პავლე მოციქულის სიბრძნის დამოწმება: „არა დამონებულ არს მამა, გინა დაა, არამედ განეყვნენ“ (ხუცესი, 1987: 227).

მიუხედავად იმისა, რომ იაკობ ხუცესი ისტორიული პიროვნება და პიტიახშის კარზე დაახლოებული პირი იყო, იგი მწერალიცაა და პერსონაჟიც. მის შესახებ ინფორმაცია მწირია და რეალურად ვიცით ის, რაც წამებაშია მოთხრობილი. მეოცე საუკუნის მწერალი რომანისათვის დამახასიათებელი სისავსით გვიხატავს პერსონაჟს, მის ისტორიასა და პიროვნულ თვისებებს მრავალმხრივ წარმოაჩენს. ამიტომ იაკობ ხუცესი მკითხველს რომანის მთავრ გმირად უპირობოდ ევლინება. ვლადიმერ ალფენიძე დასძენს, რომ „იაკობმა ძველ ფოლიანტებში ერთი წიგნი ამოირჩია, ზოდიაქოს ნიშნებით მოხატული...

დიდხანს ჩხიბავდა ზოდიაქოს ნიშნებს იაკობ ცურტაველი“ (ალფენიძე, 1978: 6). ეს სახე წამებაში წარმოდგენილი ხუცესისაგან რადიკალურად განსხვავდება. ფოლიანტების კვლევა მიუთითებს, რომ იაკობი არა მხოლოდ რელიგიური მოღვაწეა, არამედ პიროვნება, რომელიც ინტერესდება მეცნიერებით. ცხადია, რომ „შუშანიკის წამების“ ავტორი

იმდროისათვის საუკეთესოდ განსწავლული პიროვნება იქნებოდა. ზოდიაქოს ნიშნებით დაინტერესება ცალსახად უკავშირდება ასტრონომიულ და ასტროლოგიურ ცოდნას, რაც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სახეს. ალფენიძესთან მკითხველი იაკობ ცურტაველს არაერთხელ შეხვდება მითოსურ კონტექსტში, ავტორი მითოსურსა და ქრისტიანულს ჰარმონიულად აკავშირებს. „მთვარე იხედებოდა სარკმელში - დამწერლობის მითიური ღვთაება, თავისი მითიური სასწოროთ წონიდა თითქოს იაკობის ყოველ სიტყვას...“ და „კალამი კი არა, თითქოს თავწამახული ჯვარი ეჭირა ხელში იაკობს, ჯვარი, რომელსაც ეტრატზე ასობად რჩებოდა კვალი... არ ეძინა ღამესაც: ცნობისმოყვარე ვარსკვლავების თვალებით კითხულობდა დილამდე იაკობის ნაწერს“ (ალფენიძე, 1978: 14). ანტიკური პანთეონი წარმოგვიდგება თვალწინ. იქვე ჩნდება ქრისტიანული სიმბოლიკა - „თავწამახული ჯვარი“, რწმენის, მსხვერპლისა და აღდგომის სიმბოლო. სრულიად განსხვავებული შეხედულებანი უპირობოდ გვიდასტურებს, რომ შორეულ წარსულში წარმართული და ქრისტიანული ტრადიციები არ დაპირისპირებულა, არამედ ჰარმონიულად თანხმდებოდა.

რომანის ძირითადი ნაწილი ქართული ენის ქებაა. ალფენიძე ქართული ენის თვითმყოფადობას, გამორჩეულობასა და განსაკუთრებულობას არაერთხელ ადასტურებს. „ქართულ სიტყვას აქვს თავისი ფერი, მუსიკა, სიბრძნე. ეს სიტყვა უფრო ღრმაა, ვიდრე მტკვარი და შავი ზღვა, უფრო მაღალი, ვიდრე მყინვარი, უფრო მტკიცე, ვიდრე ქართლის ქვაციხეები“ (ალფენიძე, 1978: 20).

შუშანიკის პარალელურად აღერილი ამბებით ავტორი ქართული ენის შემქმნელ მეფეს- ფარნაოზს ადიდებს და პირველი ქართული წიგნის შემქმნელს ასხამს ხოტბას. გმირებს მითოსურ საბურველში ახვევს, თქმულება-ლეგენდის ფორმებს სწორედ აღნიშნულ კონტექსტში იყენებს და მხატვრული თვალსაზრისით სათქმელს კიდევ უფრო განადიდებს, მასშტაბურს ხდის. მწერალს აქვე შემოაქვს პოეტური ფორმები და აღნიშნული თვალსაზრისით კიდევ უფრო ბუნებრივი და ამაღლებული სტილი იქმნება:

„ანი ცის გზას ჰგავს, რომელსაც
აჩნია მერნის ნალია,
ანი - ღამაზი ხატია,
ანი - ანბანის თვალია.
ანი - ანბანის ხვითოა,
ღვთის ხატებს მისათვალია.“
(ალფენიძე, 1978: 31)

ან:

„ხმალი ვარ ამირანისა,
იმედი - ციხე „ანისა“...
შუქი -უჟამო ჟამისა,
დაცამლეწველი ღამისა...
წამად მქცეველი სიცოცხლის
და საუკუნის - წამისა“.
(ალფენიძე, 1978: 33).

ვლადიმერ ალფენიძე ქართულ ანბანს ამაღლებს ღვთაებრივად, ენას აკავშირებს სულიერებასთან. ამირანის მითი ენის ეროვნულ იდენტობას, სიცოცხლისუნარიანობასა და სიძლიერეს ადასტურებს.

იაკობ ხუცესი მეხუთე საუკუნეში წერდა წიგნს, არაფერს ამბობდა წიგნის მნიშვნელობაზე. მწერლის სამიზნე წმინდანი და მისი თავგანწირვა იყო, ხოლო ალფენიძე უწყვეტად გვესაუბრება წიგნის დანიშნულების შესახებ.

„- რას მოგვცემს, ცურტაველო, ანბანის შესწავლა? - იკითხა რაინდმა არმაზელმა.

- თქვენ წაიკითხავთ საღვთო წიგნს - სახარებას, ფსალმუნს, გაეცნობით მსოფლიოს რაინდთა ცხოვრებას, მათ ადათ-წესებს, მხედართა ხელოვნებას...

წიგნი და ანბანი - მთვარეა ღამით, მზეა - დღისით. ანბანი და წიგნი - ხმალია კეთილისა ბოროტთან ბრძოლაში, გზაა - უგზოობაში, მალამოა ჭრილობისა, ჭერია უსახლკაროსთვის, წყალი - მწყურვალისათვის, პური - მშიერისათვის“ (ალფენიძე, 1978: 30).

უახლესი ქართული ლიტერატურის წარმომადგენელი დამწერლობისა და წიგნის უმთავრეს დანიშნულებას საღვთო ლიტერატურის გაცნობაში ხედავს, მეორე სარგებელი საბრძოლო ხელოვნების ცოდნაა, სწორედ ამიტომ წერ-კითხვას ხუცესი მოლაშქრეებს ასწავლის. მეტაფორულად წიგნი ყველაფერს აერთიანებს, წიგნი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც წყალი და პური.

მწერალი „ცისკრის ვარსკვლავში“ კიდევ უფრო მასშტაბურად წარმოგვიდგენს ვარსკენ პიტიახშის სახეს. გამოვყოფ რამდენიმე დეტალს, რომლებიც წამებაში არ გვხვდება. ვარსკენს სიკვდილივით ეშინოდა გორგასლისა, ირანის სატახტო ქალაქიდან პიტიახშმა შაჰის სიდედრი ქართლში წამოიყვანა და ცოლად შეირთო. შაჰმა მას თავისი მხედრონი, სპარსი მოგვები და მცირე სპაც გამოაყოლა. რომანის ოცდამეერთე თავში ავტორი მოგვითხრობს ჭორს ვარსკენისა და მისი უფროსი ასულის შესახებ. საპიტიახშოში ხმა დაირბა, რომ ვარსკენს საკუთარი ასული შეუყვარდა. მიტომ გამოიცვალა რჯული პიტიახშმა, რადგან მაზდეანობა მამა-შვილის ქორწინებას ნებას რთავდაო. შუშანიკს ქალიშვილი შეძულებია, ეს კავშირი კი ექვევობდა. „მერე ხმები დაირბა: ვარსკენი თავის ასულზე ფიქტიურად იქორწინებს, ნამდვილად არა, მაგრამ ამით გადაარჩენს ასულს, ააცილებს შაჰის ჰარამხანაში წარგზავნას“ (ალფენიძე, 1978: 283). აღნიშნულ ნაწყვეტში ზნეობადაცლილ ვარსკენში მშობლის ინსტინქტი იღვიძებს, მტრის სამსახურში საკუთარი ნებით ჩამდგარი მამა შვილის გადასარჩენად იტყუება. ღვთის სიყვარული კი საბოლოოდ დავიწყებია.

ალფენიძე იაკობ ხუცესს გვიხატავს როგორც დედოფლის სულიერ მოძღვარს, ისევე როგორც ჰაგიოგრაფიაშია წარმოდგენილი. ამავედროულად მესამე თავში (ამბავი ცურტაველის სიჭაბუკისა) ცალკე გვაცნობს ცურტაველის სიჭაბუკეს, შემდეგ გვაცნობს მისი სიყვარულის ტრაგიკულ ისტორიასა და ბერად აღკვეცის მიზეზს. რომანული ეპიზოდით „ცისკრის ვარსკვლავი“ რომანისათვის განმსაზღვრელ ნიშან-თვისებას იძენს. იაკობს ჰყოლია სატრფო, ულამაზესი მზექალა. იგი ჰერეთის დედოფალს ახლდა ქეთეზიფონში. ირანის დედოფალს მოსწონებია და თავის მხევლად აუყვანია. სიჭაბუკეში ბევრი ეძება იაკობმა სატრფო, ჯერ მალემსრბოლელი იყო, მერე ელჩი მეფისა და პიტიახშისა, მაგრამ უგზოუკვლოდ დაიკარგა მზექალა. ცოლი არ შეირთო, როცა იმედი საბოლოოდ გადაეწურა, მღვდლად ეკურთხა და მზექალას მარად ერთგული დარჩა.

მეოცე საუკუნის მწერალი კიდევ ერთ განსხვავებულ ასპექტს გვთავაზობს. ცურტავის ეკლესიაში შუშანიკს ხატავდა ფრესკაზე იაკობის მეგობარი მხატვარი. შუშანიკს მზექალას თვალები დაუხატა. მზექალას თვალებით იცქირებოდა ფრესკიდან შუშანიკი. „შუშანიკი მას ღვთაებრივად უყვარდა, ისე, როგორც უყვართ მორწმუნეებს ანგელოსები, მზექალა კი მისი მიწიერი სიყვარული იყო...“ (ალფენიძე, 1978: 395). დედოფლის მოძღვარი სულიერ და ღვთაებრივ სიყვარულს აზავებს, ამთლიანებს. ალფენიძის ინტერპრეტაცია ფსიქოლოგიურ სირთულეს ჰმატებს პერსონაჟს. შუშანიკისადმი სიყვარული ამაღლებულია, უანგაროა, წმინდა, სპეტაკი, ხოლო მზექალასადმი სიყვარული ვნებაა, ხორციელი სიყვარულია.

ასევე გამოგონებული ისტორია გვხვდება რომან-თქმულების ფინალურ ეპიზოდში. როდესაც იაკობს აღარ ედგომება ცურტავეში და შუაღამეზე მალულად ტოვებს სავანეს. მიდის მოძღვარი და ცდილობს უმთავრესი საუნჯე - წიგნი გადაარჩინოს. წამებას შრომანი ამშვენებდა, შუშანიკის სიმბოლო. „უფრო ქვევით ეწერა- „იაკობ ცურტაველი - მესია ქართველი სიტყვისა“ (ალფენიძე, 1978: 446). წიგნზე დატანილი წარწერა ადასტურებს, რომ

იაკობ ხუცესი ქართული სიტყვის მხსნელია და ეს საპატიო მისია თავად მწერალს აბსოლუტურად გაცნობიერებული აქვს. შემდეგ ავტორი აღწერს მოგვისა და ხუცესის შერკინებას. ორი პიროვნების შებმას მწერალი ოსტატურად განაზოგადებს: „ებრძოდა ერთმანეთს მოგვი და მღვდელი, ქართველი და სპარსი, ქრისტი და აჰურა მაზდა“... (ალფენიძე, 1978: 447). იაკობმა სპარსი განგმირა, თვითონაც სასიკვდილოდ დაიჭრა, მეფე ვახტანგ გორგასალი წამოეწევა. წიგნს უფემქაშებს, თან დარწმუნებულია, რომ მეფე ქართულ წიგნს ფარად ექმნება, მტერთაგან დაიცავს. გორგასალი მომაკვდავ ხუცესს გააგებინებს, რომ ვარსკენი „ჩააძალდა.“ „ისევ წამოსცივდა ცრემლი მომაკვდავს. ეს სიხარულის ცრემლები იყო. ინანა, რომ არ შეეძლო კალმის ხელში აღება. რა სიხარულით მიაწერდა ამ ამბავს თავის რომანს ბოლოში...“ მრავალმნიშვნელოვნად ჟღერს მეოცე საუკუნის მწერლის მიერ გამონაგონი, მასში „შუშანიკის წამების“ მკვლევართა პოზიცია ხშირად ნახსენებია. რაკი ავტორი წამებაში ვარსკენის აღსასრულის შესახებ არაფერს ამბობს, თხზულება დაწერილია შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ, ვარსკენის დასჯამდე – 475–482 წლებში. ხოლო ვარსკენის დასჯის შესახებ ხუცესს ინფორმაცია რომ ჰქონოდა, მას წამებაში აუცილებლად აღნიშნავდა. ვლადიმერ ალფენიძე აღნიშნულ პასაჟს პოეტურს საბურველში ახვევს და მკითხველს ამ ყველაფერს ამაღელვებლად აღუწერს. რეალურად აღნიშნული მონაკვეთი წამების რეცეფციაა.

რომან-თქმულებას ვლადიმერ ალფენიძე ასრულებს საგანგებოდ გამოყოფილი თავით - ფიქრები 1500 წლის შემდეგ... მწერალი ხსნისა და აზუსტებს, რომ აღნიშნული მონაკვეთი ბოლოსიტყვაობის მაგიერაა. ავტორი იმავდროულად წარუმიძღვარებს ეპიგრაფს „...და იხილა მან ახალი ცა და ახალი მიწა...“ ძველი სენტენცია წარმოადგენს ალუზიას გამოცხადების წიგნიდან (21:1), რომელიც კიდევ ერთხელ გამოკვეთს „იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ახალ სიცოცხლეს. ალფენიძე გვთავაზობს დიალოგს V საუკუნესთან და გვიდასტურებს, რომ „შუშანიკის წამება“ პაგიოგრაფიული და ისტორიული ტექსტია. ის მარად სიცოცხლისუნარიანი ნაწარმოებია, რომელიც შორეულ ეპოქებსაც გადასწვდება და კვებავს. კულტურული მემკვიდრეობა უწყვეტია. საბჭოთა პერიოდის კონტექსტში ეს მიდგომა შეიძლება განვიხილოთ როგორც ქართული ეროვნული იდენტობის გაძლიერების მცდელობა. თუ ჩავუღრმავდებით ბოლოსიტყვაობის მაგიერ თქმულს, სხვა რეალობას აღმოვაჩენთ. „ჩვენმა დრომ, ჩვენმა რევოლუციურმა საუკუნემ შეასხა ახალი ფრთები ამ წიგნს.

და არა ამარტო ამ წიგნს, ჩვენს ერს, ჩვენს მამულს, ჩვენს ანბანს, ჩვენს ენას.

ჩვენმა დრომ არნახულად ააღორძინა სიტყვა და სახელი ცურტაველისა, ქართველი ერის თვითმყოფადობა, მისი ენა, მწერლობა, ხელოვნება, კულტურა, ცივილიზაცია“ (ალფენიძე, 1978: 466). მწერალი სიამაყით აგრძელებს თხრობას, რომ „შუშანიკის წამება დღეს ევროპის შუაგულში იბეჭდება და თანაც დიდი ტირაჟით. შემდეგ კი ხოტბას ასხამს სოციალისტურ თანაცხოვრებასა და ხალხთა ლენინური მეგობრობის ოქროს კანონს. საბჭოთა რეჟიმის გადაჭარბებული ხოტბა პათეტიკურად ჟღერს და არათემატურად უკავშირდება რომან-თქმულების ძირითად სათქმელს. ძნელია იმის დადგენა, თუ რა მიზანს ემსახურება რომანის ასეთი ბოლოსიტყვაობა. ეს გახლავთ ცენზურის თვალის აბმა, „მწერლობის მოთვინიერებას“ (აკაკი ბაქრაძე), თუ ეს გახლავს საბჭოთა მოხელის ტიპური აზროვნება. დღევანდელი გადასახედიდან 1978 წელს, როცა ქართული ენა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იყო, უხერხულია, რომ საბჭოთა რეჟიმს ენის აღორძინებისთვის ხოტბას ასხამდე. რეალობის ასახსნელად წიგნიდან ისევ ვლადიმერ ალფენიძის სიტყვებს მოვიხმობ: „საოცარია, მაგრამ, ზოგჯერ ორჯერ ორი ხუთია“ (ალფენიძე, 1978: 474).

დასკვნა. ლიტერატურა ყოველთვის ეპოქის ანარეკლია, ჭეშმარიტად დიდ შემოქმედებას დრო ვერაფერს აკლებს, ხოლო ყოველი თაობა წინაპართა ტექსტებს ახლებურად კითხულობს და იაზრებს. ლიტერატურა ცოცხალი, დინამიკური სისტემაა,

რომელიც მუდმივად ეხმიანება ახალ ისტორიულ, ეროვნულ, რელიგიურ და კულტურულ კონტექსტს. ჰაგიოგრაფიული ტექსტები, როგორც უმაღლესი ღირებულებების მატარებელი ფორმა, მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. სწორედ ამ თვისებებით აიხსნება „შუშანიკის წამების“ რეცეფცია ვლადიმერ ალფენიძის „ცისკრის ვარსკვლავში“.

გამოყენებული ლიტერატურა

- ალფენიძე, ვ. (1978). *ცისკრის ვარსკვლავი*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- ბიბლია. (2013). თბილისი.
- ხუცესი, ი. (1987). შუშანიკის წამება. *ქართული მწერლობა*. ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

REFERENCES

- alpenidze, v. (1978). *tsisk'ris varsk'vlavi [The morning star]*. Tbilisi: Publishing House „Ganatileba“.
- biblia [Bible]*. (2013). Tbilisi.
- khutsesi, i. (1987). shushanik'is ts'ameba [Martyrdom of Shushanik]. *kartuli mts'erloba [Georgian writing]*. Vol. I. Tbilisi: Publishing House „Nakaduli“.